

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 15.

თბილისი

12-13.08.2011

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები:

კახი ყურაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, შპს - თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;

ნინო ძოწენიძე - საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის აღმასრულებელი საბჭოს წევრი;

ლალი ღოღელიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სამშენებლო ფაკულტეტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი;

დავით კახნიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი;

ანა კლდიაშვილი - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიის, რესტავრაციისა და თეორიის ფაკულტეტის სრული პროფესორი;

კონსტანტინე ნანობაშვილი - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ნანა ჭილაძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;

გიორგი მიქაძე - ცენტრის სტრატეგიული განვითარებისა და მართვის სამსახურის უფროსი;

მარინე ჟვანია - ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსი;

გია ტარიელაძე - ცენტრის სტრატეგიული განვითარებისა და მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე;

სალომე ფრუიძე - ცენტრის ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;

გიორგი ცხვედიანი - ცენტრის აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;

ლაშა მარგიშვილი - ცენტრის ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ბექა ძამაშვილი - ცენტრის ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

კონსტანტინე ჩოკორაია - ცენტრის აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ნინო ბეგიაშვილი - ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

ლიკა გიორგაძე - ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი.

ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის კანცლერი ქეთევან მანჯაფარაშვილი, იურიდიული სამსახურის უფროსი ზვიად არძენაძე;

2. შპს - თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მაკა კაჭარავა;

3. შპს - ლიცეუმი-პროფესიული კოლეჯის წარმომადგენელი ნინო თედიაშვილი;
4. შპს - სასწავლო უნივერსიტეტი „რვალის“ რექტორი გულქან ქმოსტელი;
5. შპს - ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი გრიგოლ ხვიტია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ფატი შენგელია;
6. შპს - პეტრე შოთაძის სახელობის სამედიცინო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი გიორგი კანდელაკი, მედიცინის ფაკულტეტის დეკანი თამარ გაიხარაშვილი;
7. ა(ა)იპ - ახალციხის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორი ზურაბ ბერიძე, დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში ეთერ ზედგინიძე, ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი რევაზ სანდროშვილი, პროგრამის ხელმძღვანელი ხათუნა ინდუაშვილი;
8. შპს - თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორი სალომე ჭელიძე;
9. შპს - თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ „მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი - დავით კახნიაშვილი, აღმასრულებელი დირექტორი ზურაბ ჯორჯიკია;
10. შპს - აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის საშუალო სკოლა „იმედის“ დირექტორი ცოტნე გველესიანი;
11. შპს - „ბესიკ ნიპარიშვილი - მრავალპროფილიანი სკოლა-გიმნაზიის“ დირექტორი ბესიკ ნიპარიშვილი;
12. შპს - სკოლა „ჩირაღდანის“ დირექტორი დავით კაპანაძე;
13. შპს - საერო საშუალო სკოლა-კომპლექს „სადუნის“ დირექტორი მარიამ ცინცაძე.

ავტორიზაციის ექსპერტები:

ეკატერინე ბალიშვილი;
დავით ჭეიშვილი;
ქეთევან ინანაშვილი;
მაკა კაჭარავა;
შორენა ჯაფარიძე;
ლევან მადათოვი;
რეზო ნინუა.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 19⁴⁵ სთ-ზე და შეამოწმა კვორუმის არსებობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს მდივნის, გაიანე სიმონიას, არყოფნის გამო საბჭოს თავმჯდომარემ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მდივნის ფუნქციების შესრულება დაავალა საბჭოს წევრს - ანა კლდიაშვილს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 4 აგვისტოს №119 გადაწყვეტილებიდან გამომდინარე შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა;

2. ზოგადი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხის განხილვა:

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება: შპს - თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი;

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება: შპს - ლიცეუმი-პროფესიული კოლეჯი.

3. შპს - სასწავლო უნივერსიტეტ „რვალის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

4. შპს - ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

5. შპს - პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

6. ა(ა)იპ - ახალციხის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

7. შპს - თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

8. შპს - თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ „მწიგნობართუხუცესის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

9. შპს - აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის საშუალო სკოლა „იმედის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

10. შპს - „ბესიკ ნიპარიშვილი - მრავალპროფილიანი სკოლა-გიმნაზიის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

11. შპს - სკოლა „ჩირაღდანის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

12. შპს - საერო საშუალო სკოლა-კომპლექს „სადუნის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებსა და ცენტრის წარმომადგენლებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შეამდგომლობა.

ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა, ნანა ჭილაძემ აღნიშნა, რომ ცენტრში 2011 წლის 10 აგვისტოს შემოვიდა შპს - ქუთაისის სამედიცინო სკოლის განცხადება, რომლის თანახმადაც, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 11 ივლისის №85 გადაწყვეტილებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობად მითითებული უნდა იყოს არა 245, არამედ 875. შესაბამისად, მიზანშეწონილი იქნება, თუ საბჭო დღის წესრიგში გაითვალისწინებს ტექნიკური ხარვეზის გასწორების საკითხს.

ცენტრის შუამდგომლობის გათვალისწინებით, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის შემდეგი სახით დამტკიცების საკითხი:

1. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 11 ივლისის №85 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება;

2. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 4 აგვისტოს №115 გადაწყვეტილებიდან გამომდინარე შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა;

3. ზოგადი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხის განხილვა:

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება: შპს - თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი;

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება: შპს - ლიცეუმი-პროფესიული კოლეჯი.

4. შპს - სასწავლო უნივერსიტეტ „რვალის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

5. შპს - ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

6. შპს - პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. ა(ა)იპ - ახალციხის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. შპს - თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. შპს - თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ „მწიგნობართუხუცესის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. შპს - აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის საშუალო სკოლა „იმედის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
11. შპს - „ბესიკ ნიპარიშვილი - მრავალპროფილიანი სკოლა-გიმნაზიის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
12. შპს - სკოლა „ჩირაღდანის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
13. შპს - საერო საშუალო სკოლა-კომპლექს „სადუნის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

1. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 11 ივლისის №85 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება

საბჭომ დაადგინა, რომ 2011 წლის 11 ივლისის №85 გადაწყვეტილებაში დაშვებული იყო ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობად ნაცვლად 875-ისა მითითებული იყო 245.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

გასწორდეს ტექნიკური შეცდომა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 11 ივლისის №85 გადაწყვეტილების პირველ პუნქტში და ნაცვლად რიცხვისა - 245 მიეთითოს რიცხვი - 875.

2. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 4 აგვისტოს №119 გადაწყვეტილებიდან გამომდინარე შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა

შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის კანცლერმა - ქეთევან მანჯაფარაშვილმა და იურიდიული სამსახურის უფროსმა - ზვიად არმენაძემ სხდომაზე წარმოადგინეს დაწესებულების რექტორის მიერ გაცემული მინდობილობები.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. მათ დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

ცენტრის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა სალომე ფრუიძემ, რომელმაც საბჭოს წევრებს შეახსენა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 4 აგვისტოს სხდომაზე განხილულ იქნა შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის საავტორიზაციო განაცხადი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების თაობაზე. საბჭომ დაადგინა, რომ ავტორიზაციის მამიებელი არ აკმაყოფილებდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებს, რის საფუძველზეც მას უარი ეთქვა ავტორიზაციის მინიჭებაზე.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ავტორიზაცია არის საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურა, რასაც უკავშირდება შესაბამისი კვალიფიკაციების მინიჭებისა და ამ კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის უფლება. შესაბამისად, შპს - ევროპულმა საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტმა ვერ მოიპოვა საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი. ცენტრი მიიჩნევს, რომ საბჭოს 2011 წლის 4 აგვისტოს სხდომაზე დამატებით უნდა ემსჯელა დაწესებულებისათვის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სამართლებრივად განსხვავებული პოზიცია ჰქონდა ამ საკითხთან მიმართებით. კერძოდ, საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მინიჭება-არმინიჭების საკითხი არსებითად ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 4 აგვისტოს სხდომაზე გადაწყდა და ამჯერად საბჭო დამატებით განმარტავს, რომ საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება დაწესებულების ავტორიზაციაზე, ანუ მისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მინიჭებაზე, უარის თქმის შესახებ. ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით,

- ავტორიზაციის პროცესი იწყება თავად ავტორიზაციის მსურველი პირის განცხადების საფუძველზე;

- საავტორიზაციო განაცხადის საფუძველზე საბჭო იღებს ორიდან ერთ-ერთ გადაწყვეტილებას, ან ანიჭებს ავტორიზაციას მამიებელს, ან უარს ეუბნება მას ავტორიზაციაზე;

- ორივე შემთხვევაში ვიღებთ კონკრეტული სუბიექტის მიმართ საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების საკითხთან დაკავშირებით გამოცემულ ახალ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც პირველ შემთხვევაში შინაარსობრივად არ ცვლის კონკრეტულ პირთან მიმართებით ადრე მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ სტატუსს, ხოლო მეორე შემთხვევაში სახეზეა ისეთი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი იმავე პირის მიმართ იგივე საკითხზე მიღებული, რომელიც არსებითად ცვლის მანამდე მოქმედი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ სტატუსს. ამიტომ მიუღებელია მსჯელობა, თითქოს ავტორიზაციის მინიჭებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ძალაშია ძველი ავტორიზაცია (ინსტიტუციური აკრედიტაცია), ვადის ამოწურვამდე. ამ ვადის დინება შეწყვიტა ახალმა ადმინისტრაციულ-სამართლებრივმა აქტმა - ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ;

- ავტორიზაციის მამიებლის განცხადების დაუკმაყოფილებლობა, ანუ ავტორიზაციის მინიჭებაზე უარი, წარმოადგენს ავტორიზაციის მამიებლისათვის საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მინიჭებაზე უარსა და ავტორიზებადი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების უფლების მინიჭებაზე უარს, შესაბამისად, საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ავტორიზაციის

მინიჭებაზე უარის შესახებ ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული სუბიექტი, ვის მიმართაც ასეთი გადაწყვეტილება მიღებული, წყვეტს ავტორიზებულ საქმიანობას;

- ერთადერთი გამონაკლისი, როცა ძველად გამოცემულ აქტს მოქმედების ვადა შეიძლება არ შეუწყდეს, არის ის შემთხვევა, როცა სამართლებრივი აქტით დასარეგულირებელი საგანი განსხვავებულია, კერძოდ შესაბამისი ავტორიზებული (ინსტიტუციური აკრედიტაციის რეჟიმში მოქმედი) დაწესებულებისათვის ხელახალ ავტორიზაციაზე უარის თქმის შემთხვევაში, მხოლოდ მაშინ იარსებებდა ავტორიზაციასთან დაკავშირებული ძველად გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების საკითხზე მსჯელობის აუცილებლობა, თუ დაწესებულებას ავტორიზაციის განაცხადი წარდგენილი ექნებოდა სტატუსის მოდიფიცირების შესახებ, მაგალითად, თუ კოლეჯი წარმოადგენდა განაცხადს სასწავლო უნივერსიტეტის/უნივერსიტეტის სტატუსის მოსაპოვებლად. აქ გასათვალისწინებელია, რომ სტატუსის მოდიფიცირების ცალკე პროცედურას არ იცნობს კანონმდებლობა და ამიტომ ამ შემთხვევაშიც საავტორიზაციო განაცხადი უნდა შემოვიდეს, თუმცა არა ავტორიზაციის ახალი ვადით მინიჭების, არამედ სტატუსის მოდიფიცირების მიზნით;

- ზემოაღწერილი შემთხვევის დროს თუ საბჭო მიიღებდა გადაწყვეტილებას საძიებელი სტატუსის, ანუ ავტორიზაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ, და იმავდროულად უარის საფუძვლების არსებითი განხილვის შემდეგ დაადგენდა, რომ არ ფიქსირდება სტანდარტების დარღვევა ძველი სტატუსის ფარგლებში (ანუ არსებითად, ნეგატიური აქტი გამოიცა ახალი საძიებელი სტატუსის მოსაპოვებლად დადგენილი (ძირითადად - პროგრამული) სტანდარტების დაუკმაყოფილებლობის გამო), შესაძლებელია, ამ შემთხვევაში ძველი სტატუსით ამ პირს მართლაც ჰქონოდა შესაძლებლობა, გაეგრძელებინა ავტორიზებული საქმიანობა, ძველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ვადის ამოწურვამდე.

შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის შემთხვევაში საქმე გვქონდა სხვაგვარად:

- საბჭოს სხდომაზე დაფიქსირდა ისეთი ხასიათის შენიშვნები (სტანდარტებთან შეუსაბამობა), რომელიც ზოგადად შეუსაბამო იყო საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსთან;

- შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსი ავტორიზაციაზე განაცხადის წარმოდგენის მომენტში არ შეესაბამებოდა დაწესებულების მიერ განხორციელებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არ ახორციელებდა საბაკალავრო, სამაგისტრო და არც სადოქტორო პროგრამებს), რაც ცხადია, გამორიცხავდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსით მის არსებობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, უნდა განიმარტოს, რომ ავტორიზაციის საბჭოს მიერ ავტორიზაციის მინიჭებაზე უარის გადაწყვეტილება თავის თავში გულისხმობს, რომ დაწესებულებას აღარ აქვს უფლებამოსილება, განახორციელოს საგანმანათლებლო საქმიანობა, რომელიც კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემასთან არის დაკავშირებული. დამატებით გადაწყვეტილების მიღება იქნება იგივე გადაწყვეტილების ახალი რედაქციით გამეორება.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს წევრებს, გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრი ლალი ლოღელიანი დაეთანხმა საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებას.

თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს თავიანთი პოზიციის დაფიქსირება განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის იურიდიული სამსახურის უფროსმა - ზვიად არძენაძემ წაიკითხა დაწესებულების მიერ 12 აგვისტოს ცენტრში წარმოდგენილი შუამდგომლობა, რომელიც დაერთო ოქმს.

შუამდგომლობაში აღნიშნული იყო, რომ დაწესებულებამ სხდომის დღეს, 12 აგვისტოს ცენტრში წარმოადგინა ახალი საავტორიზაციო განაცხადი სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსის მოსაპოვებლად. დაწესებულებას დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამაზე

მიღწევად რეჟიმში ჰყავს სტუდენტები, აგრეთვე ცენტრის პორტალზე დარეგისტრირებულია დაწესებულებაში მობილობის მსურველი რამდენიმე სტუდენტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ მას სტატუსი შეუწყდება, სექტემბრიდან ამ სტუდენტებს ვეღარ მიეცემა შესაძლებლობა, მობილობის პროცესით გადავიდნენ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ამ გარემოებების გათვალისწინებით, დაწესებულების თხოვნაა საბჭოს მიმართ, ხელახალი ავტორიზაციის პროცესის დამთავრებამდე გადადებულ იქნეს ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა.

თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რატომ წარმოადგინა დაწესებულებამ საავტორიზაციო განაცხადი, თუკი მიიჩნევს, რომ სტატუსი კვლავ აქვს.

ზვიად არძენაძემ აღნიშნა, რომ სანამ საავტორიზაციო განაცხადის წარმოდგენა მოხდებოდა, მობილობის პორტალზე დარეგისტრირებული იყვნენ მობილობის მსურველები. ამჟამად დაწესებულება ახორციელებს პროფესიულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც შეესაბამება საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსს, აქედან გამომდინარე, გადაწყდა სტატუსის შეცვლა და წარმოდგენილ იქნა განაცხადი სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსის მოსაპოვებლად.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა თავისი აზრის დაფიქსირება, თუ რა სტატუსი ჰქონდა დაწესებულებას საავტორიზაციო განაცხადის წარმოდგენამდე.

ზვიად არძენაძის თქმით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი 2013 წლამდე ითვლებოდა ავტორიზებულად, შესაბამისად, მას ჰქონდა უფლება, თვითშეფასების ანგარიშით დაემატებინა საგანმანათლებლო პროგრამები და გაეგრძელებინა ფუნქციონირება, როგორც სასწავლო უნივერსიტეტი.

თავმჯდომარე დაინტერესდა, ხომ არ იქნებოდა სამართლებრივად უფრო სწორი, დაწესებულებას ემოქმედა ამგვარად: რამდენადაც ინსტიტუციური აკრედიტაციის რეჟიმში მყოფი სუბიექტის მიერ ხორციელდებოდა მხოლოდ უმაღლესი პროფესიული პროგრამა, თვითშეფასების ანგარიშით მომხდარიყო სტატუსის დაზუსტება, რომ დაწესებულებას აქვს საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსი, ხოლო შემდეგ წარმოედგინა ახალი განაცხადი ავტორიზაციაზე, სტატუსის ამოღების (მოდერნიზირების) მიზნით. ამ შემთხვევაში საკითხი დაყენებული იქნებოდა სტატუსის შეცვლაზე და არა სტატუსის მინიჭება-არმინიჭებაზე. თუ დაწესებულებას სურს სტატუსის ამოღება, შემოაქვს საავტორიზაციო განაცხადი, სადაც მიეთითება მოთხოვნა სტატუსის შეცვლაზე. ამ შემთხვევაში საბჭო იმსჯელებდა იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულება ითხოვს სტატუსის შეცვლას. საბჭოს შეეძლო, მიეღო გადაწყვეტილება სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ, რაც არ გააუქმებდა თვითშეფასების ანგარიშით დადასტურებულ იმ რეჟიმს, რომ დაწესებულების მდგომარეობა ადეკვატურია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებისა.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დღის წესრიგში შეტანილი საკითხის განხილვის შედეგად გადაწყვეტილება არ არის მისაღები, რადგანაც წინა სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება გულისხმობს, რომ დაწესებულებას ავტორიზაცია არ აქვს და ამას ადასტურებს დაწესებულების მიერ 2011 წლის 12 აგვისტოს მეორე საავტორიზაციო განაცხადის წარმოდგენაც.

ზვიად არძენაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ცენტრთან გაიარა კონსულტაცია და მიიღო გადაწყვეტილება, რომ შემოეტანა განაცხადი.

თავმჯდომარის თქმით, როდესაც კანონში ცალკე გაწერილი არ არის სტატუსის შეცვლის სპეციალური პროცედურა, ერთადერთი ფორმა, რაც რჩება სტატუსის შეცვლისათვის, არის ახალი საავტორიზაციო განაცხადის შემოტანა. შესაბამისად, ცენტრის კონსულტაცია სამართლებრივად სწორი იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, საბჭოს მიერ 2011 წლის 4 აგვისტოს მიღებული №119 გადაწყვეტილების, მის მიერ გაკეთებული განმარტების (ავტორიზაციაზე უარის შესახებ

გადაწყვეტილება - ავტორიზებული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების უფლებისა და საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის გაუქმება) ცნობად მიღების საკითხი:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

ცნობად იქნეს მიღებული ის ფაქტი, რომ ავტორიზაციის საბჭოს მიერ 2011 წლის 4 აგვისტოს მიღებული №119 გადაწყვეტილება „შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ გულისხმობდა დაწესებულებისთვის ავტორიზაციის გაუქმებას.

3. ზოგადი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხის განხილვა

ა) შპს - თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხის განხილვა

შპს - თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა მაკა კაჭარავამ წარმოადგინა დაწესებულების რექტორის მიერ გაცემული მინდობილობა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ინტერესთა კონფლიქტის საფუძველზე, განაცხადა თვითაც იღებდა საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობისაგან.

საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ შპს - თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშს. შესაბამისად, საქმის მასალები დაერთო ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ პროფესიული პროგრამები წარმოდგენილია აკრედიტებული (ავტორიზებული) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ და საბჭოს აქვს ინფორმაცია ამ დაწესებულებების მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისადმი წაყენებული მოთხოვნების დაკმაყოფილების თაობაზე. ამ ეტაპზე უნდა შეფასებულიყო ამავე დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით დადგენილი სტანდარტების (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, ადამიანური რესურსი, მატერიალურ-ტექნიკური რესურსი) დაკმაყოფილების საკითხი.

ცენტრის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ. მისი თქმით, შპს - თბილისის ჰუმანიტარულმა უნივერსიტეტმა 2011 წლის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშთან ერთად წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების ანგარიში და მოითხოვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭება.

№	პროგრამის სახელწოდება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საფეხური/კრედიტი
1	კბილის ტექნიკოსი	კბილის ტექნიკოსის პირველი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	პირველი საფეხური (30 კრედიტი)
2	კბილის ტექნიკოსი	კბილის ტექნიკოსის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	მეორე საფეხური (30 კრედიტი)
3	კბილის ტექნიკოსი	კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	მესამე საფეხური (30 კრედიტი)
4	კბილის ტექნიკოსი	კბილის ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	მეოთხე საფეხური (30 კრედიტი)
5	კბილის ტექნიკოსი	კბილის ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	მეხუთე საფეხური (30 კრედიტი)

კონსტანტინე ჩოკორაიას განმარტებით, ცენტრს აღნიშნულ პროგრამებთან დაკავშირებით შენიშვნა არ აქვს და შუამდგომლობს საბჭოს წინაშე შპს - თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე.

ლალი ღოღელიანმა სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეზუსტებინა პროფესიულ სტუდენტთათვის გამოსაყოფი ადგილების რაოდენობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ითხოვა, პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტი განისაზღვროს 20 პროფესიული სტუდენტით.

ლალი ღოღელიანმა კენჭისყრაზე დააყენა შპს - თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

1. მიჩნეულ იქნეს, რომ შპს - თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებს და მიეცეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება.

2. დაკმაყოფილდეს შპს - თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის შუამდგომლობა და პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განესაზღვროს 20-ით.

ბ) შპს - ლიცეუმი-პროფესიული კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. შემდეგ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - ლიცეუმი-პროფესიული კოლეჯის თვითშეფასების ანგარიშს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ თვითშეფასების ანგარიში დაერთოს ოქმს, როგორც მისი ნაწილი.

ცენტრის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ. მისი თქმით, შპს - ლიცეუმი-პროფესიულმა კოლეჯმა 2011 წლის თვითშეფასების ანგარიშით წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და მოითხოვა მათი განხორციელების უფლებამოსილების მინიჭება.

№	პროგრამის სახელწოდება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საფეხური /კრედიტი
1	ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი)	ინტერნეტტექნოლოგიის (ვებსპეციალისტი) მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	მე-2 საფეხური (35 კრედიტი)
2	ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი)	ინტერნეტტექნოლოგიის (ვებსპეციალისტი) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	მე-3 საფეხური (30 კრედიტი)
3	კბილის ტექნიკოსი	კბილის ტექნიკოსის პირველი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	1-ლი საფეხური (35 კრედიტი)
4	კბილის ტექნიკოსი	კბილის ტექნიკოსის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	მე-2 საფეხური (35 კრედიტი)
5	კბილის ტექნიკოსი	კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	მე-3 საფეხური (40 კრედიტი)

დაწესებულების სურვილი იყო, ასევე განეხორციელებინა ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის პროგრამა, თუმცა შემდგომ წარმოადგინა შუამდგომლობა ამ პროგრამის განუხილველად დატოვების შესახებ.

მომხსენებლის განცხადებით, დაწესებულების პროგრამებთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია, რომ:

- ინტერნეტტექნოლოგიის (ვებსპეციალისტი) მეორე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მეოთხე პუნქტში სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის კომპონენტისათვის მითითებულია 525 სთ (60%), რაც არ შეესაბამება სასწავლო გეგმას, რომლის მიხედვითაც სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის საათები შეადგენს 315 სთ-ს;

- ინტერნეტტექნოლოგიის (ვებსპეციალისტი) მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მეოთხე პუნქტში სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის კომპონენტისათვის მითითებულია 450 სთ (60%), რაც არ შეესაბამება სასწავლო გეგმას, სადაც სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის საათები შეადგენს 210 სთ-ს.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყველანაირი შენიშვნა, რომელიც არსებობდა დაწესებულების საქმიანობასთან დაკავშირებით, გათვალისწინებულ იქნა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რა შენიშვნებზე იყო საუბარი, როდესაც მომხსენებელმა მხოლოდ ორ შენიშვნაზე ისაუბრა.

კონსტანტინე ჩოკორაიას განმარტებით, სკოლამ თვითშეფასების ანგარიშით წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. ცენტრს დაწესებულების შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდა, რამდენადაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებმა წელს პირველად წარმოადგინეს თვითშეფასების ანგარიშები. აქედან გამომდინარე, 2011 წლის 11 აგვისტოს დაწესებულებაში განხორციელდა ვიზიტი. ცენტრის წარმომადგენლებმა დაწესებულების საქმიანობასთან დაკავშირებით გამოთქვეს ზოგადი სახის შენიშვნები, რაც სკოლის მხრიდან გამოსწორებულ იქნა.

კახი ყურაშვილმა დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა საკუთარი მოსაზრება მომხსენებლის მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სასწავლო გეგმაში მითითებული საათების რაოდენობიდან პრაქტიკის კომპონენტს მოიცავდა სასწავლო-საწარმოო პრაქტიკა და ლაბორატორიული მუშაობა. ლაბორატორიულ სამუშაოებში გათვალისწინებული საათების რაოდენობა მოიაზრებოდა, როგორც პრაქტიკული კომპონენტი, თუმცა შენიშვნის გაცნობის შემდეგ პროგრამებში განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები.

კონსტანტინე ჩოკორაიას განმარტებით, სასწავლო გეგმაში ცალკე არის გამოყოფილი სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის საათებისათვის ადგილი და ლაბორატორიულ მუშაობაში გათვლილი საათები ვერ ჩაითვლება პრაქტიკის კომპონენტად.

ლალი ლოდელიანის თქმით, აღნიშნული პროგრამულ ხარვეზს წარმოადგენდა და არა ტექნიკური შეცდომას.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რადგანაც შენიშვნა გათვალისწინებულ იქნა ვიზიტის დროს, საბჭოს შეუძლია, ჩათვალოს, რომ ხარვეზი გამოსწორებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეზუსტებინა პროფესიულ სტუდენტთათვის გათვალისწინებული ადგილების რაოდენობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ითხოვა, პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტი განსაზღვრულიყო 100 პროფესიული სტუდენტით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ლიცეუმი-პროფესიული კოლეჯისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

1. მიიჩნეულ იქნეს, რომ შპს - ლიცეუმი-პროფესიული კოლეჯი აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებს და მიეცეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება.

2. დაკმაყოფილდეს შპს - ლიცეუმი-პროფესიული კოლეჯის შუამდგომლობა და პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განესაზღვროს 100-ით.

4. შპს - სასწავლო უნივერსიტეტი „რვალის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ შპს - სასწავლო უნივერსიტეტი „რვალის“ წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. შპს - სასწავლო უნივერსიტეტი „რვალის“ რექტორმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - სასწავლო უნივერსიტეტი „რვალის“ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა. მომხსენებლის თქმით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ავტორიზაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

ამასთან, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში მითითებულ დამხმარე ფართსა და ექსპერტთა მიერ ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგენილ დამხმარე ფართს შორის განსხვავება 159,31 კვ.მ. განპირობებულია იმით, რომ დაწესებულებას თვითშეფასების კითხვარში არ ჰქონდა მითითებული ფართი (გარემონტებული დარბაზი სცენით), რომელიც გამოიყენება სტუდენტთა მიერ სხვადასხვა ღონისძიებებისა და აქტივობების განსახორციელებლად.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსების სტანდარტებთან შპს - სასწავლო უნივერსიტეტი „რვალის“ შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს შეახსენა, რომ 2011 წლის 12 აგვისტოდან ამოქმედდა ცვლილებები საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებაში, კერძოდ, დადგინდა მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა და სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის ახალი წესი - მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა და სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის საფუძველია საგანმანათლებლო დაწესებულების დასაბუთებული განაცხადი ავტორიზაციის საბჭოს წინაშე. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, დაედასტურებინა, რომ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა - 404 განპირობებულია საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებით, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობითა და მათი კვალიფიკაციით, ასევე მატერიალური რესურსი იძლევა ამ რაოდენობის სტუდენტთათვის მომსახურების გაწევის შესაძლებლობას.

დაწესებულების რექტორმა დაადასტურა აღნიშნული.

საბჭოს თავმჯდომარემ იგივე შეკითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს, რაზეც დადებითი პასუხი მიიღო.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სასწავლო უნივერსიტეტი „რვალის“ ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56²-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56³-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - სასწავლო უნივერსიტეტი „რვალს“ 2012-2013 სასწავლო წლიდან 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და სტუდენტთა რაოდენობა განესაზღვროს 404-ით.

5. შპს - ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ შპს - ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების რექტორმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის თვითშეფასების კითხვარებსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ბექა ძამაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში დაწესებულების სურვილია, განახორციელოს აგრეთვე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 საზოგადოებრივი ჯანდაცვის საბაკალავრო პროგრამა

1.1.1 პროგრამაზე ისწავლება სასწავლო კურსი „ადამიანის ნორმალური ფიზიოლოგია“, რომლის წინაპირობაა ანატომიის, ციტოლოგიისა და ჰისტოლოგიის კურსები. ანატომიის კურსი პროგრამის ფარგლებში არ ისწავლება. შესაბამისად, შეუძლებელია წინაპირობის დაკმაყოფილება.

1.1.2 პროგრამაზე მესამე სემესტრში ისწავლება სასწავლო კურსი „მიკრობიოლოგია, ვირუსოლოგია, იმუნოლოგია“, რომლის ერთ-ერთი წინაპირობაა ბიოქიმიის კურსი, რომელიც პროგრამის ფარგლებში არ ისწავლება. პროგრამაზე ისწავლება „სამედიცინო ბიოქიმია 1“ მესამე სემესტრში და „სამედიცინო ბიოქიმია 2“ მეოთხე სემესტრში. შესაბამისად, შეუძლებელია წინაპირობის დაკმაყოფილება.

1.1.3 პროგრამაზე მესამე სემესტრში ისწავლება სავალდებულო სასწავლო კურსი „პათოლოგიური ფიზიოლოგია /ზოგადი/“, რომლის წინაპირობაა „ადამიანის ნორმალური ფიზიოლოგია“. აღსანიშნავია, რომ „ადამიანის ნორმალური ფიზიოლოგია“ ისწავლება მეოთხე სემესტრში და შესაბამისად, შეუძლებელია წინაპირობის დაკმაყოფილება.

1.1.4 პროგრამაზე მესამე სემესტრში ისწავლება სავალდებულო სასწავლო კურსი „ზოგადი ჰიგიენა“, რომლის წინაპირობაა ზოგადი ბიოლოგია, მიკრობიოლოგია და ფიზიოლოგია. აღსანიშნავია, რომ ზოგადი ბიოლოგია და ფიზიოლოგია საერთოდ არ ისწავლება პროგრამის ფარგლებში, ხოლო ფიზიოლოგია ისწავლება იმავე - მესამე სემესტრში. შესაბამისად, შეუძლებელია წინაპირობის დაკმაყოფილება.

1.1.5 პროგრამის მიხედვით, ძირითადი სასწავლო კურსი „სამედიცინო ფსიქოლოგია“ არის 4-კრედიტიანი, თუმცა წარმოდგენილი სილაბუსი არის 3-კრედიტიანი და აღნიშნულ სასწავლო კურსზე სტუდენტის დატვირთვა არის 75 საათი. შესაბამისად, შეუძლებელია პროგრამაზე 240 კრედიტის დაგროვება, რაც ეწინააღმდეგება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც ბაკალავრიატი მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს.

1.1.6 პროგრამაზე ისწავლება სასწავლო კურსი „სამხედრო და კატასტროფების მედიცინა“, რომლის წინაპირობაა ანატომია და ფიზიოლოგია. აღნიშნული სასწავლო კურსები პროგრამის ფარგლებში არ ისწავლება. შესაბამისად, შეუძლებელია წინაპირობის დაკმაყოფილება.

1.1.7 პროგრამაზე ისწავლება სავალდებულო სასწავლო კურსი „ზოგადი ქირურგია“, რომლის წინაპირობაა ადამიანის ნორმალური და ტოპოგრაფიული ანატომია, ფიზიოლოგია. აღსანიშნავია, რომ ადამიანის ტოპოგრაფიული ანატომია და ფიზიოლოგია პროგრამის ფარგლებში არ ისწავლება. შესაბამისად, შეუძლებელია წინაპირობის დაკმაყოფილება.

1.1.8 პროგრამაზე ისწავლება სავალდებულო სასწავლო კურსი „ინფექციური სნეულებანი“, რომლის წინაპირობაა ზოგადი ბიოლოგია, ბიოქიმია, ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული საგნები პროგრამის ფარგლებში არ ისწავლება. შესაბამისად, შეუძლებელია წინაპირობის დაკმაყოფილება.

1.1.9 პროგრამის მიხედვით, ძირითადი სასწავლო კურსი „სასამართლო მედიცინა“ არის 3-კრედიტიანი, თუმცა წარმოდგენილი სილაბუსი არის 2-კრედიტიანი და აღნიშნულ სასწავლო კურსზე სტუდენტის დატვირთვა არის 50 საათი. შესაბამისად, შეუძლებელია პროგრამაზე 240 კრედიტის დაგროვება, რაც ეწინააღმდეგება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც ბაკალავრიატი მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს.

1.1.10 საბაკალავრო პროგრამაზე ისწავლება სავალდებულო სასწავლო კურსი „რადიაციული უსაფრთხოება“, რომლის წინაპირობაა ანატომია და ფიზიოლოგია. აღნიშნული საგნები პროგრამის ფარგლებში არ ისწავლება. შესაბამისად, შეუძლებელია წინაპირობის დაკმაყოფილება.

1.1.11 საბაკალავრო პროგრამაზე მე-8 სემესტრში ისწავლება სავალდებულო სასწავლო კურსი „ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა“, რომლის წინაპირობაა ბიოფიზიკის, ფიზიოლოგიის, მიკრობიოლოგიის, პათოლოგიისა და ჯანმრთელობის ხელშეწყობის სასწავლო კურსები. აღსანიშნავია, რომ ფიზიოლოგია და ჯანმრთელობის ხელშეწყობა საერთოდ არ ისწავლება პროგრამის ფარგლებში, ხოლო პროფესიული პათოლოგია ისწავლება იმავე მე-8 სემესტრში. შესაბამისად, შეუძლებელია წინაპირობის დაკმაყოფილება.

1.2 აგროტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

1.2.1 პროგრამაზე ისწავლება სავალდებულო სასწავლო კურსი „ბუნებათსარგებლობა“, რომლის წინაპირობაა „ქიმია-სასოფლო სამეურნეო ანალიზით“. აღნიშნული საგანი პროგრამის ფარგლებში არ ისწავლება. შესაბამისად, შეუძლებელია წინაპირობის დაკმაყოფილება.

1.2.2 პროგრამაზე ისწავლება სავალდებულო სასწავლო კურსი „ნიადაგმცოდნეობა მელიორაციის საფუძვლებით“, რომლის ერთ-ერთი წინაპირობაა „ზოგადი ნიადაგმცოდნეობა მიწათმოქმედებაში“. აღნიშნული საგანი პროგრამის ფარგლებში არ ისწავლება. შესაბამისად, შეუძლებელია წინაპირობის დაკმაყოფილება.

1.2.3 სასწავლო კურსი „ბოტანიკა“ ისწავლება მე-2 და მე-3 სემესტრებში, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ მე-3 მუხლის პირველ პუნქტს, რომლის მიხედვითაც, სასწავლო კურსი არის ერთსემესტრიანი.

1.2.4 პროგრამაზე ისწავლება სასწავლო კურსი „გენეტიკა და ციტოლოგია“, რომლის ერთ-ერთი წინაპირობაა მეხილეობის კურსი. აღნიშნული საგანი პროგრამის ფარგლებში არ ისწავლება. შესაბამისად, შეუძლებელია წინაპირობის დაკმაყოფილება.

1.2.5 პროგრამაზე მე-6 სემესტრში ისწავლება სავალდებულო სასწავლო კურსი „სუბტროპიკული კულტურების მექანიზმები“, რომლის ერთ-ერთი წინაპირობაა მეჩაიეობა. მეჩაიეობა ისწავლება მე-7 სემესტრში და, შესაბამისად, შეუძლებელია წინაპირობის დაკმაყოფილება.

1.2.6 საბაკალავრო პროგრამაზე ისწავლება სავალდებულო სასწავლო კურსი „მცენარეთა კარანტინი“, რომლის წინაპირობაა ნიადაგის ეკოლოგია, მეცნიერული კვლევის მეთოდები, ეკოლოგიის აქტუალური პრობლემები. აღნიშნული საგნები არ ისწავლება პროგრამის ფარგლებში. შესაბამისად, შეუძლებელია წინაპირობის დაკმაყოფილება.

1.2.7 პროგრამის სასწავლო კურსი „სუბტროპიკული ტექნიკური კულტურები“ ისწავლება მე-7 და მე-8 სემესტრებში, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ მე-3 მუხლის პირველ პუნქტს, რომლის მიხედვითაც, სასწავლო კურსი არის ერთსემესტრიანი.

1.2.8 პროგრამის სასწავლო კურსი „სუბტროპიკული მეხილე ობა“ ისწავლება მე-7 და მე-8 სემესტრებში, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ მე-3 მუხლის პირველ პუნქტს, რომლის მიხედვითაც, სასწავლო კურსი არის ერთსემესტრიანი.

1.3 ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სასწავლო კურსებს „შესავალი ეკონომიკაში I“ და „შესავალი ეკონომიკაში II“, რომელთა სილაბუსების მიზნები და სწავლის შედეგები იდენტურია.

1.4 ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

1.4.1 საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სასწავლო კურსებს „სამედიცინო ბიოქიმია 1“ და „სამედიცინო ბიოქიმია 2“. სილაბუსების მიხედვით, კურსების შესწავლის მიზნები და სწავლის შედეგები იდენტურია.

1.4.2 „ფარმაცოთერაპიისა და ფიტოთერაპიის“ სილაბუსის კურსზე დაშვების წინაპირობებში გაწერილია „ფარმაცოლოგია - 2, პათოლოგია - 2, ბოტანიკა, ბიოქიმია, ლათინური ენა“, აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა არ მოიცავს „პათოლოგია 2“ - ის და „ბოტანიკის“ სასწავლო კურსს.

1.5 სუბტროპიკული კულტურების გადამუშავების ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

1.5.1 „მიკრობიოლოგიის“ კურსი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით იკითხება III სემესტრში, ხოლო სილაბუსის მიხედვით მითითებულია VII სემესტრი. ასევე, პროგრამაში მოცემულია 5 კრედიტი, სილაბუსით - 10 ECTS (რუმცა სილაბუსში საათების გაშლის მიხედვით მოიაზრება 5 კრედიტი, ანუ მოცემულია 125 საათი), იგივე სილაბუსში „სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობებში“ მოცემულია ზოგადი ბიოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის კურსები, თუმცა ამ სასწავლო კურსებს არ მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამა, შესაბამისად შეუძლებელი ხდება კურსის სწავლის შედეგების მიღწევა.

1.5.2 „დარგის ზოგადი ტექნოლოგია“ სასწავლო გეგმის მიხედვით იკითხება 2 სემესტრი, ასევე სილაბუსის წარმოდგენილია 2 სემესტრად, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 05 იანვრის №3 ბრძანების მე-3 მუხლის პირველ პუნქტს, ასეთივე შენიშვნა ფიქსირდება „ჩაის ტექნოლოგიის“ სასწავლო კურსთან მიმართებაში.

1.6 სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

1.6.1 პროგრამაზე ისწავლება სასწავლო კურსები „სადოვოკატო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება“ და „სასამართლო გადაწყვეტილების ფორმულირება“, რომლების წინაპირობაა სამოქალაქო საპროცესო სამართლის, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის და სისხლის

საპროცესო სამართლის სალექციო კურსი. აღნიშნული საგნები პროგრამის ფარგლებში არ ისწავლება. შესაბამისად, შეუძლებელია სალექციო კურსზე დაშვების წინაპირობის დაკმაყოფილება.

1.6.2 პროგრამაზე ისწავლება სასწავლო კურსი „ადმინისტრაციული ხელშეკრულების სამართლებრივი რეგულირება“, რომლის წინაპირობაა „ზოგადი ადმინისტრაციული სამართლისა“ და „სამოქალაქო სამართლის“ (ვალდებულებითი სამართლის) სალექციო კურსი. აღნიშნული საგნებიც საბაკალავრო პროგრამის ნაწილია და, ცხადია, სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში არ ისწავლება.

1.6.3 ანალოგიურად, „საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართლის“ წინაპირობაა კონსტიტუციური (სახელმწიფო მოწყობის) სამართლის სალექციო კურსი; „ადმინისტრაციული საჩივრის საქმისწარმოების“ წინაპირობაა „ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის“ სალექციო კურსი; „საზღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციული სამართლის“, წინაპირობაა „ზოგადი ადმინისტრაციული სამართლისა“, „ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის“ სალექციო კურსები; „შედარებითი სისხლის სამართლის“, წარკოტიკული დანაშაული ს“, „სახელმწიფო დანაშაული ს“, „შედარებითი სისხლის სამართლის პროცესისა“ და „დანაშაული სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ“ წინაპირობაა სისხლის სამართალი, ზოგადი და კერძო ნაწილი. აღნიშნული საგნები პროგრამის ფარგლებში არ ისწავლება. შესაბამისად, შეუძლებელია წინაპირობის დაკმაყოფილება.

1.7 მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსების „ინგლისური ენა 1“ - ის და „ინგლისური ენა 2“ - ის მიზნები და სწავლის შედეგები იდენტურია.

1.8 ფარმაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცოგნოზის“ სილაბუსში, კურსის შესწავლის წინაპირობებში, მითითებულია „ბაკალავრიატში გავლილი ფარმაცოგნოზის კურსის ცოდნა“. აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია „ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ერთიანი ეროვნული გამოცდებისა და საუნივერსიტეტო გამოცდის შედეგები“, შესაბამისად, თუ პირი ფარმაცოგნოზის სასწავლო კურსზე არ დაიშვება, სწავლის შედეგების მიღწევა შეუძლებელი ხდება. იგივე მდგომარეობაა „ფარმაცოთერაპია - 1“-ის სილაბუსის წინაპირობებთან მიმართებაში. შესაბამისად, ცალკეული სასწავლო კურსის გავლის წინაპირობა რეალურად პროგრამაზე დაშვების წინაპირობად გვევლინება.

1.9 სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა

1.9.1 პროგრამის სასწავლო კურსების „სამედიცინო ბიოქიმია 1“-ის და „სამედიცინო ბიოქიმია 2“-ის მიზნები და შედეგები იდენტურია.

1.9.2 სასწავლო კურსი „თერაპიული სტომატოლოგია 1“ სასწავლო გეგმის მიხედვით ისწავლება III სემესტრში, „სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობებში“ მითითებულია „ადამიანის ნორმალური ფიზიოლოგიის“ კურსის გავლა, რომელიც გეგმის მიხედვით ისწავლება IV სემესტრში, შესაბამისად, შეუძლებელია სილაბუსში გაწერილი წინაპირობების დაკმაყოფილება. ასეთივე შენიშვნა ფიქსირდება „ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის“ სილაბუსთან მიმართებაში.

1.9.3 პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით, „კანისა და ვენერიული სნეულებანი“ იკითხება VI სემესტრში, ხოლო სილაბუსში მითითებულია სწავლების IV სემესტრი; ასეთივე შენიშვნა ფიქსირდება „ინფექციური დაავადებების“ სასწავლო კურსის სილაბუსში.

1.10 შპს - ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს 2010 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილებით დამტკიცებული სტუდენტთა სასწავლო პროცესის რეგულირების წესის მე-19 მუხლში გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმი, რომლის მიხედვითაც, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში დაწესებულება სტუდენტს

სთავაზობს ისეთ სასწავლო პროგრამას, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება იმავე კვალიფიკაციის მინიჭება.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

ყველა ზემოაღნიშნულ შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ დაწესებულება ეთანხმება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას, შენიშვნები აღიარებული და გაზიარებულია. დასკვნის მიღების შემდეგ შეიკრიბა სამეცნიერო საბჭო, მოხდა ინფორმაციის გადამოწმება ყველა სილაბუსთან დაკავშირებით და დღეის მდგომარეობით ყველა ხარვეზი არის გამოსწორებული. ცენტრს გადაეცა და ვებგვერდზე განთავსდა შესწორებული სილაბუსებიც და საგანმანათლებლო პროგრამებიც.

თავმჯდომარე დაინტერესდა, როდის მოხდა აღნიშნული შესწორებების განხორციელება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ ხარვეზების აღმოფხვრა მოხდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დასრულების შემდეგ.

1.10-ე შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მაგალითად, ჯანდაცვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების დროს არის ორი მიმართულება, ფარმაცია და საზოგადოებრივი ჯანდაცვა. ორივე ანიჭებს ერთ აკადემიურ ხარისხს. მსგავს პროგრამას ახორციელებს ქუთაისში სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელთანაც, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ გაფორმდა მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ, შესაბამისად, ეს ხარვეზიც გამოსწორდა.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 22-ე მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს ზეპირ მოსმენაზე გადაწყვეტილების მიღებისას, მხედველობაში არ მიიღება ავტორიზაციის მამიებლის ის დოკუმენტები, რომლებიც შემუშავდა ვიზიტის შემდეგ. შესაბამისად, საბჭო იმსჯელებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს დაფიქსირებულ ფაქტობრივ გარემოებებზე.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1 ქ. ზუგდიდში, უნივერსიტეტის ქ. №1-ში მდებარე:

პირველ კორპუსში 3389,85 კვ. მ. ფართიდან სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა მხოლოდ 2499,24 კვ. მ. ფართზე. 890,61 კვ. მ. ფართი სასწავლო პროცესში არ გამოიყენება.

2.2 მეორე კორპუსის 3445,85 კვ. მ. ფართიდან სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა 2320,35 კვ. მ. ფართზე. დარჩენილი 1125,5 კვ. მ. სასწავლო პროცესში არ გამოიყენება.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა შენიშვნას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

მოწინააღმდეგე - 6

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56²-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 56⁴-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტს უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

6. შპს - პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ შპს - პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის წარმომადგენლებს - თამარ გაიხარაშვილსა და გიორგი კანდელაკს (რომლებმაც წარმოადგინეს შესაბამისი მინდობილობები) მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლიკა გიორგაძემ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე:

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში მითითებული იყო თბილისში, სოფ. ლისში არსებული საცხენოსნო რეაბილიტაციის ცენტრის ფართი - 700 კვ. მ., რომლის შესახებ დაწესებულებასა და მესაკუთრეს შორის დადებულია ხელშეკრულება, რომელიც საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ არის. შესაბამისად, არ უნდა მოხდეს ამ ფართის ჩათვლა სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის დროს. საბოლოოდ დადგინდა, რომ დაწესებულების სასწავლო ფართი შედგენს 1423 კვ. მ.-ს, ხოლო დამხმარე ფართი - 469 კვ. მ.-ს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ პრეტენზია გაანგარიშებასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ ეთანხმებოდნენ მოცემულ ინფორმაციას.

2. ადამიანურ რესურსთან მიმართებით

დაწესებულებას თვითშეფასების კითხვარში მითითებული ჰყავდა 17 სრული პროფესორი. ვიზიტის დროს, რეესტრის გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ერთი მათგანი - რამაზ კალმახელიძე არის ასევე შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სრული პროფესორი. შესაბამისად, ავტორიზაციის მიზნებისათვის იგი არ უნდა ჩაითვალოს დაწესებულების აკადემიური პერსონალის რაოდენობაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომელს, დაეზუსტებინა შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი მხოლოდ საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს, თუ ასევე ახორციელებს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებს.

ლიკა გიორგაძემ აღნიშნა, რომ შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სახე არის უნივერსიტეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა მხარეს, ავტორიზაციის განაცხადის წაროდგენისას მიიღო თუ არა წერილობითი დადასტურება რამაზ კალმახელიძისაგან, რომ ავტორიზაციის მიზნებისთვის სურდა, ჩათვლოდა შპს - პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიას.

მხარის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ასეთი სახის დადასტურება წერილობითი ფორმით მიიღო, დოკუმენტი თან ჰქონდა და შეეძლო საბჭოსათვის წარედგინა, თუმცა მის ხელთ არსებული ინფორმაციით, მსგავსი დადასტურება რამაზ კალმახელიძეს შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტისთვისაც ჰქონდა მიცემული.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ ასეთ შემთხვევაში ავტორიზაციის მიზნებისათვის რამაზ კალმახელიძე ვერ ჩათვლება დაწესებულებას, როგორც სრული პროფესორი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებსა და დამსწრე ექსპერტებს, ადასტურებდნენ თუ არა, რომ დაწესებულებას შეეძლო, თავისი რესურსით უზრუნველყო 475 სტუდენტის მომსახურება. დაწესებულებაში ვიზიტად მყოფმა ექსპერტმა - ეკატერინე ბალიშვილმა და დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურეს აღნიშნული.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56²-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56³-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიას 2012-2013 სასწავლო წლიდან 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და სტუდენტთა რაოდენობა განესაზღვროს 475-ით.

7. ა(ა)იპ - ახალციხის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ ა(ა)იპ - ახალციხის საზოგადოებრივი კოლეჯის წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ა(ა)იპ - ახალციხის საზოგადოებრივი კოლეჯის თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 დაწესებულების დირექტორის მიერ 2011 წლის 5 ივლისს დამტკიცებულია ოფისის მენეჯერის III და IV საფეხურის და ექთნის თანაშემწის II და III საფეხურის, ხოლო 2011 წლის 9 ივლისს - ოფისის მენეჯერის II საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. არც ერთ პროგრამაში არ არის განსაზღვრული პროგრამის მიზნები, ხოლო სფეროს აღწერა, დასაქმების სფერო, დამატებითი პირობები (ოფისის მენეჯერის შემთხვევაში), საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია, სწავლის შედეგები (კვალიფიკაციის აღმწერი) საფეხურების მიხედვით წარმოადგენს ოფისის მენეჯერის (მდივან რეფერენტის) და ექთნის თანაშემწის პროფესიული სტანდარტის ზუსტ ასლს. თუმცა ზოგიერთ პროგრამაში სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსები არ შეესაბამება შესაბამისი საფეხურის სწავლის შედეგად მიღებულ დარგობრივ და ზოგად კომპეტენციებს: სასწავლო კურსი - „პირველადი სამედიცინო დახმარების სწავლება“ ექთნის თანაშემწის პროფესიული სტანდარტის თანახმად გათვალისწინებულია III საფეხურზე, ხოლო დაწესებულების მიერ ეს საგანი გათვალისწინებულია II საფეხურზე; II საფეხურზე სტანდარტის თანახმად გათვალისწინებულია პაციენტის კვების პრინციპების ცოდნა, თუმცა შესაბამისი ცოდნისა და კომპეტენციების გადამცემი საგანი (დიეტოლოგია) ისწავლება მესამე საფეხურზე; ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის სტანდარტის თანახმად, პროფესიულ სტუდენტს აქვს ურთიერთობის ფსიქოლოგიის, ბიოლოგიური მეცნიერებების საფუძვლების, მარტივი მათემატიკური გამოთვლების ცოდნა, თუმცა არც ერთი მათგანი არ არის გათვალისწინებული მესამე საფეხურის პროგრამაში.

1.2 საგანმანათლებლო პროგრამები ნაცვლად პროფესიული დიპლომისა, ითვალისწინებს სერტიფიკატის გაცემას.

1.3 არც ერთ პროგრამაში არ არის განსაზღვრული პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, სწავლის ხანგრძლივობა კვირების მიხედვით, სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

1.4 წარმოდგენილი ხუთივე პროგრამის საწარმოო პრაქტიკის სილაბუსი, სადაც მოცემულია პრაქტიკაზე განსახორციელებელი აქტივობების ჩამონათვალი, არ შეიცავს საათების გადანაწილებას, მათ შორის პრაქტიკის, გამოცდების, დამოუკიდებელი მუშაობის კომპონენტებს შორის, რაც განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამით.

1.5 სასწავლო კურსების ყველა სილაბუსში არსებობს ერთი სახის ხარვეზი, კერძოდ, სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობა არ შეესაბამება ზოგიერთ სილაბუსში

მითითებულ რაოდენობას. კონკრეტულად: ოფისის მენეჯერის მეორე საფეხურის პროგრამაში - „ინგლისური ენა“ - სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია 5 კრედიტი, ხოლო სილაბუსით - 2 კრედიტი, ოფისის მენეჯერის მეოთხე საფეხური - „საქმიანი ურთიერთობების კულტურა და ეტიკეტი“ - სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია 6 კრედიტი, ხოლო სილაბუსით - 2 კრედიტი, ოფისის მენეჯერის მეოთხე საფეხური - „შრომის სამართლის საფუძვლები“ - სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია 5 კრედიტი, ხოლო სილაბუსით - 4 კრედიტი.

1.6 ზოგიერთ სილაბუსში საერთოდ არ არის მითითებული კრედიტების რაოდენობა: ოფისის მენეჯერის მეორე საფეხური - „ინფორმაციული ტექნოლოგიები“; ოფისის მენეჯერის მეოთხე საფეხური - „ინგლისური ენა“; სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საკონტაქტო საათების რაოდენობა წინააღმდეგობაში მოდის სილაბუსებში სასწავლო კურსის შინაარსის პუნქტში მოცემულ საათების რაოდენობასთან: სასწავლო გეგმით ზოგიერთი საგანი გარდა ლექცია-პრაქტიკული მეცადინეობისა ითვალისწინებს სასწავლო პრაქტიკის საათებს, თუმცა სილაბუსებში არ არის გათვალისწინებული და გაწერილი სასწავლო პრაქტიკისათვის გამოყოფილი საათების რაოდენობა და თემები (აქტივობები). ლექცია/პრაქტიკული მეცადინეობისათვის გამოყოფილი საათების რაოდენობაც არ შეესაბამება გეგმით გათვალისწინებულ საათების რაოდენობას: ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის სილაბუსების უმრავლესობა („დედათა და ბავშვთა მოვლა“, „სამკურნალო ფიზიკულტურა და მასაჟი“, „ქირურგიულ პაციენტთა მოვლა“) და სხვ.

1.7 სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია შუალედური და დასკვნითი შეფასების საათების რაოდენობა - 7 სთ., თუმცა სილაბუსებში ფინალური გამოცდა საერთოდ არ არის გამოყოფილი, ხოლო ორი შუალედური შეფასება გაწერილია სემინარების გრაფაში (ეს ხარვეზი დაფიქსირებულია ყველა სილაბუსში), რაც ნიშნავს სილაბუსებში სასესიო პერიოდის ფაქტობრივ გაუთვალისწინებლობას.

1.8 სილაბუსების უმრავლესობაში სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობა არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს, ხშირ შემთხვევაში სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობად მიჩნეულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული ცოდნა და უნარები, ან რაიმე კონკრეტული ზოგადსაგანმანათლებლო საგანი.

1.9 საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში არაა მოცემული ინფორმაცია დაწესებულების შესახებ, აგრეთვე შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

1.10 დაწესებულებას შემუშავებული არა აქვს არაფორმალური განათლების აღიარების შესახებ განცხადების განხილვის პროცედურა, რასაც ავალდებულებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 3 თებერვლის №8/ნ ბრძანებით დამტკიცებული „არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებისა და წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

1.1 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის მიზანი პროგრამაში ფორმულირებული იყო დასაქმების სფეროსა და სფეროს აღწერის ნაწილში.

საბჭოს წევრის, ანა კლდიაშვილის განმარტებით, რადგანაც ამჟამად მიმდინარეობს ავტორიზაციის და არა აკრედიტაციის პროცესი, ექსპერტები ვერ შეამოწმებენ, შინაარსობრივად სად არის გაწერილი მიზანი. ავტორიზაციის ეტაპზე პროგრამაში ცალ-ცალკე გამოყოფილი უნდა იყოს სხვადასხვა კომპონენტი, რასაც ითხოვს კანონი - მათ შორის, პროგრამის მიზანი და სწავლის შედეგები. შესაბამისად, ავტორიზაციის ექსპერტები არ იყვნენ ვალდებული, გაეანალიზებინათ, პროგრამის სხვა კომპონენტებში შინაარსობრივად იყო თუ არა გაწერილი პროგრამის მიზნები.

საბჭოს თავმჯდომარემ მოითხოვა ერთ-ერთი პროგრამის განხილვა. საბჭოზე გამოქვეყნდა ექთნის თანაშემწის მეორე საფეხურის პროგრამა. კახი ყურაშვილმა წაიკითხა პროგრამაში

მითითებული სფეროს აღწერის ნაწილი და აღნიშნა, რომ პროგრამის ამ ნაწილში შინაარსობრივად ნამდვილად სფეროს აღწერა იყო მოცემული და არა პროგრამის მიზანი.

დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ პროგრამის მიზანი იყო შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტის მომზადება, რაც ახალ პროგრამაში, რომელიც შეიქმნა ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ, უკვე გათვალისწინებულია.

დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მათ კანონმდებლობა არ უკრძალავდა სტანდარტის მონაცემები გადაეტანათ პროგრამაში. რაც შეეხება შენიშვნას, პირველადი სამედიცინო დახმარების სწავლებასთან დაკავშირებით, ეს საგანი აუცილებლად მეორე საფეხურზე უნდა ისწავლებოდეს და შენიშვნა ზოგადად სტანდარტთან დაკავშირებით არსებობს.

ლალი ლოღელიანმა განმარტა, რომ ამაზე დავა უნდა ყოფილიყო სტანდარტის შემუშავების დროს.

დაწესებულების განმარტებით, საგნების წინაპირობად ზოგადსაგანმანათლებლო საგნების მითითება აიხსნება იმით, რომ თუ ბავშვს შესაბამისი ცოდნა არ ექნა, იგი ამ საგნებს ვერ გაივლის.

კახი ყურაშვილმა აღნიშნა, რომ მოსწავლე სკოლაში რა საგანს გაივლის, ეს არ არის კავშირში პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მის სწავლასთან, თუმცა საბჭოს პრაქტიკიდან გამომდინარე, ამ შემთხვევაში შესაძლებელია მიჩნევა, რომ საგანს წინაპირობა არ გაჩნია.

დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ თითოეულ სილაბუსში გათვალისწინებული იყო საათების განაწილება კვირების მიხედვით.

კონსტანტინე ჩოკორაია არ დაეთანხმა დაწესებულების წარმომადგენლებს და საბჭოს თავმჯდომარეს წარუდგინა ოფისის მენეჯერის მეოთხე საფეხურის პროგრამის სილაბუსი „საქმიანი ურთიერთობების კულტურა და ეტიკეტი“. საბჭოს თავმჯდომარემ სხდომაზე გამოაქვეყნა წარმოდგენილი სილაბუსი.

კახი ყურაშვილის განმარტებით, საათების ზუსტი გადანაწილება კვირების მიხედვით წარმოდგენილ სილაბუსში არ ჩანდა.

1.4 შენიშვნასთან დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა მომხსენებელს, ითვალისწინებს თუ არა კანონმდებლობა სილაბუსში აღნიშნული ინფორმაციის ასახვის აუცილებელ მოთხოვნას.

კონსტანტინე ჩოკორაიამ აღნიშნა, რომ არცერთი ნორმატიული დოკუმენტი სილაბუსის შინაარსს პირდაპირ არ განმარტავს, თუმცა სილაბუსი ეს არის საგნის აღწერილობა, რომელიც უნდა იყოს თავმოყრილი საგნის სწავლებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რასაც ადგენს აკადემიური პერსონალი.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აკადემიური თავისუფლება გულისხმობს სწორედ საათების გადანაწილების თავისუფლებას და მათი სილაბუსში ზუსტად გაწერის მოთხოვნა ავტორიზაციის სტანდარტებით არ არის გათვალისწინებული.

საბჭომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის 1.4 შენიშვნა არ გაიზიარა.

დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ სილაბუსებსა და პროგრამებში კრედიტების არათანხვედრა იყო ტექნიკური შეცდომა.

კონსტანტინე ჩოკორაია არ დაეთანხმა აღნიშნულს და წარმოადგინა ოფისის მენეჯერის მეორე საფეხურის პროგრამის ინგლისური ენის სილაბუსი. საბჭოს თავმჯდომარემ გამოაქვეყნა აღნიშნული სილაბუსი, რომელშიც მითითებული იყო 2 კრედიტი და შესაბამისად საათების რაოდენობა - 50, რაც წინააღმდეგობაში მოდის პროგრამაში მითითებულ კრედიტების რაოდენობასთან.

საბჭომ არ გაიზიარა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის 1.6 შენიშვნა. თავმჯდომარემ განმარტა, რომ რადგანაც პროგრამაში იყო მითითებული კრედიტების რაოდენობა, უშუალოდ სილაბუსში კრედიტის მიუთითებლობა შეიძლებოდა მიჩნეულიყო ტექნიკურ შეცდომად.

დაწესებულების წარმომადგენელმა გაიზიარა 1.10 შენიშვნა არაფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ გამორჩათ ასეთი დოკუმენტის შექმნა.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1 დაწესებულებას იჯარის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ნუგზარ პარუნაშვილთან. ხელშეკრულების თანახმად, ა(ა)იპ - ახალციხის საზოგადოებრივ კოლეჯს გადმოცემული აქვს ნუგზარ პარუნაშვილის კუთვნილი ფართი ქ. ახალციხეში, თამარაშვილის №6-ში სარგებლობის უფლებით. იჯარის ხელშეკრულების მიხედვით, არ იკვეთება, თუ რა ოდენობის ფართი გადაეცა ა(ა)იპ - ახალციხის საზოგადოებრივ კოლეჯს იჯარით. ხელშეკრულება არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში.

2.2 დაწესებულების ძირითადი საშუალებების აღრიცხვის ჟურნალში აღრიცხულია მხოლოდ კომპიუტერები, მაგიდები და სკამები. პრინტერების ფლობა არცერთი დოკუმენტით არ დასტურდება. რაც შეეხება კომპიუტერებს, მისი ნაწილი (11 კომპიუტერი) დაწესებულებას გადმოცემული აქვს მიღება-ჩაბარების აქტით სასწავლო უნივერსიტეტ „მესხეთიდან“. მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით, ახალციხის საზოგადოებრივი კოლეჯი არის ახალციხის სამედიცინო კოლეჯისა და სასწავლო უნივერსიტეტ „მესხეთის“ სამართალმემკვიდრე, თუმცა არანაირი სამართლებრივი დოკუმენტით ეს არ დასტურდება. კომპიუტერების გადაცემასთან დაკავშირებით არანაირი ხელშეკრულება არ არსებობს. აღსანიშნავია, რომ ფართზე აქამდე განთავსებული იყო სასწავლო უნივერსიტეტი „მესხეთი“, რომლის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი პირი არის ამავდროულად ა(ა)იპ - ახალციხის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორი და დამფუძნებელი.

საბჭომ ეს შენიშვნა არ გაიზიარა. საბჭოს აზრით, რადგანაც მიღება ჩაბარების დოკუმენტი არსებობს, რაც ადასტურებს ნივთის ფაქტობრივ ფლობას.

2.3 დაწესებულებას აქვს რამდენიმე ელექტროლუმელი (მათ შორის 2 - კუსტარულად დამზადებული, გადაკეთებული ძველი რადიატორი), თუმცა მათი რაოდენობა აუდიტორიების საერთო რაოდენობაზე ნაკლებია, აგრეთვე მათი მართლზომიერი ფლობა არ დასტურდება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბუნებრივი აირის შეყვანა ამჟამად მოხდა დაწესებულებაში და, შესაბამისად, ამოქმედდება ერთიანი გათბობის სისტემა.

კონსტანტინე ჩოკორაიამ დაადასტურა, რომ ადგილზე ნანახი იქნა გაზის მილი.

2.4 ბიბლიოთეკის ფონდი შეესაბამება სილაბუსებით გათვალისწინებულ ლიტერატურას. ბიბლიოთეკაში აღრიცხულია 486 წიგნი. თუმცა დაწესებულების მიერ აღნიშნულის ფლობა არ დასტურდება.

დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ყველა წიგნი აღრიცხულია ზონარგაყრილ ჟურნალში, რომელსაც ბეჭედი აქვს დასმული.

კონსტანტინე ჩოკორაიას განმარტებით, ბიბლიოთეკის ფონდი არ იყო აღრიცხული ინვენტარიზაციის წიგნში.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, ნახა თუ არა ექსპერტთა ჯგუფმა ბალანსი, სადაც იქნებოდა წიგნები აღრიცხული.

კონსტანტინე ჩოკორაის თქმით, ძირითადი საშუალებების ჟურნალში არ იყო წიგნები აღრიცხული, არსებობდა მხოლოდ ზონარგაყრილი ჟურნალი.

საბჭომ არ გაიზიარა მომხსენებლის შენიშვნა და ჩათვალა, რომ არსებობს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს კანონიერ მფლობელობას.

2.5 ვებგვერდი ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია სხვადასხვა ინფორმაცია, თუმცა არ არის განთავსებული საგანმანათლებლო პროგრამები. ვებგვერდის განახლება არ ხდება პერიოდულად. დაწესებულების ვებგვერდის მისამართია www.unimeskh.ge. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული დომენი ეკუთვნის სასწავლო უნივერსიტეტ „მესხეთს“, რადგანაც ხელშეკრულება კავკასუს ონლაინს გაფორმებული აქვს სასწავლო უნივერსიტეტ „მესხეთთან“. დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ინტერნეტ პროვაიდერთან დადებული ხელშეკრულება ან სასწავლო უნივერსიტეტ „მესხეთის“ სამართალმემკვიდრეობის დამადასტურებელი საბუთი.

დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც ა(ა)იპ - ახალციხის საზოგადოებრივი კოლეჯი დაფიქსირებულია დომეინის მფლობელად. მათი განმარტებით, ექსპერტთა ვიზიტის დროს მოხდა ამ ხარვეზის გამოსწორება.

საბჭოს თავმჯდომარემ, გამოაქვეყნა მტკიცებულება, თუმცა დადგინდა, რომ დომეინზე ხელშეკრულება გაფორმებულია 2011 წლის 1 აგვისტოს, ხოლო ექსპერტთა ვიზიტი დასრულდა 2011 წლის 29 ივლისს. ხელშეკრულების ასლი დაერთო ოქმს.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით

3.1 ოფისის მენეჯერის მეოთხე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე საგანს „ოფისის მენეჯმენტის საფუძვლები“ კითხულობს ქრისტინა მანველიშვილი, რომელიც განათლებით არის დაწყებითი განათლების პედაგოგი. მისი პირადი საქმით არ დასტურდება ოფისმენეჯერად მუშაობის სამწლიანი გამოცდილება.

დაწესებულების წარმომადგენლები დაეთანხმნენ წარმოდგენილ შენიშვნას.

3.2 ოფისის მენეჯერის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე საგანს - „საარქივო საქმის წარმოების საფუძვლები“ კითხულობს ციცი ნარიმანიძე, რომელიც განათლებით არის სოფლის მეურნეობის სპეციალისტი, მეაბრეშუმე. დაწესებულებამ წარმოადგინა ციცი ნარიმანიძის ახალციხის არქივის დირექტორად დანიშვნის ბრძანებები, თუმცა სამუშაო გამოცდილება სამ წელს არ შეადგენს, რადგანაც ეს პირი 2010 წელს არის დანიშნული.

დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, ციცი ნარიმანიძე წლების განმავლობაში კითხულობდა საარქივო საქმეს ახალციხის უნივერსიტეტში და ამავე დროს არის ახალციხის არქივის დირექტორი.

კონსტანტინე ჩოკორაიას განმარტებით, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, დაწესებულებას პროფესიით მუშაობის მინიმუმ სამწლიანი გამოცდილება უნდა ჰქონდეს, ციცი ნარიმანიძეს კი მუშაობის მხოლოდ ერთწლიანი გამოცდილება აქვს. კონსტანტინე ჩოკორაიამ საბჭოს თავმჯდომარეს წარუდგინა შესაბამისი დოკუმენტი.

კახი ყურაშვილის განმარტებით, ლექციების კითხვა არ ნიშნავს პრაქტიკულად მუშაობის გამოცდილებას, არამედ წარმოადგენს პედაგოგიური მუშაობის გამოცდილებას.

3.3 ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროგრამაში „დედათა და ბავშვთა მოვლის“ სასწავლო კურსს კითხულობს დარეჯან ლოლაძე, ხოლო შესაბამისი საგნის სილაბუსი შედგენილია ლიანა დათაშვილის მიერ. დარეჯან ლოლაძის შრომითი ხელშეკრულება და პირადი საქმე არ არსებობს.

დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, დარეჯან ლოლაძეს უნდა წაეკითხა აღნიშნული საგანი, თუმცა მოგვიანებით იგი შეიცვალა და პროგრამაში მისი გვარი დარჩა. ამიტომ აღნიშნული ხარვეზი ტექნიკური სახისაა.

21:23 სთ-ზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

21:45სთ-ზე ავტორიზაციის საბჭოს სხდომა განახლდა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსების სტანდარტებთან ა(ა)იპ - ახალციხის საზოგადოებრივი კოლეჯის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტები არ არის დაკმაყოფილებული.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ახალციხის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

მოწინააღმდეგე - 6

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - ახალციხის საზოგადოებრივ კოლეჯს უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

8. შპს - თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ შპს - თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯის წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. შპს - თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯის თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლიკა გიორგაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაწესებულების მიმართ შენიშვნები არ ჰქონია.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელსა და ექსპერტებს, დაედასტურებინათ, რომ დაწესებულებას შეეძლო, თავისი რესურსით უზრუნველყო 261 პროფესიული სტუდენტის მომსახურება, რაზეც დასტური მიიღო.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯს მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების, საზოგადოებრივი კოლეჯის, სტატუსი და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 261-ით.

9. შპს - თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ „მწიგნობართუხუცესის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. საბჭოს წევრმა დავით კახნიაშვილმა, ინტერესთა კონფლიქტის საფუძველზე, განაცხადა თვითაცილება და განაგრძო სხდომაში მონაწილეობა, როგორც დაწესებულების დირექტორმა. საბჭოს თავმჯდომარემ მას მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების დირექტორმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ „მწიგნობართუხუცესის“ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლიკა გიორგაძემ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

დაწესებულებაში გამოყენებული ყველა სახელმძღვანელო გრიფირებულია, ინგლისური ენის სახელმძღვანელოების გარდა.

საბჭოს წევრმა ნინო ძოწენიძემ ამ საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ საერთაშორისო სტანდარტით შექმნილი სახელმძღვანელოები გათანაბრებულია გრიფმინიჭებულთან.

საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის შენიშვნა.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1 სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენს 930-ს, ხოლო ინტერნეტში ჩართული კომპიუტერების რაოდენობა - 44-ს, თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა წერილი, რომელიც ადასტურებს, რომ დაწესებულებამ ჯერ კიდევ შესაბამისი ცვლილების განხორციელებამდე მიმართა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქართული წარმოების 15 კომპიუტერის შეძენაზე. ლიკა გიორგაძემ საბჭოს თავმჯდომარეს წარუდგინა აღნიშნული წერილი. სხდომის თავმჯდომარემ გამოაქვეყნა წერილი.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით, შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პირველი ექვსი კლასის ჩათვლით ინგლისური ენის სახელმძღვანელოებად გამოიყენება მაკმილერის გამომცემლობის წიგნები.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელსა და ექსპერტებს, დაედასტურებინათ, რომ დაწესებულებას შეეძლო, თავისი რესურსით უზრუნველყო 3405 მოსწავლის მომსახურება, რაზეც დასტური მიიღო.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ „მწიგნობართუხუცეს“ მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 3405-ით.

10. შპს - აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის საშუალო სკოლა „იმედის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ შპს - აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის საშუალო სკოლა „იმედის“ წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების დირექტორმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის საშუალო სკოლა „იმედის“ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 შპს - აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის საშუალო სკოლა „იმედის“ ერთ მისამართზე: ქ. ქუთაისი, ლ. ასათიანის ქ. №26, მფლობელობაში აქვს ორი შენობა, რომელთაც ერთმანეთთან აკავშირებთ მეორე სართულზე არსებული გადასასვლელი.

ერთი შენობა, რომლის საერთო ფართობი 1437,26 კვ. მ., საკუთრების უფლებით ეკუთვნის დაწესებულების დირექტორს, რომელსაც 2011 წლის 4 იანვარს დადებული იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, 2021 წლის 4 იანვრამდე ზემოაღნიშნული ფართი გადაცემული აქვს შპს - აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის საშუალო სკოლა „იმედისათვის“. ხელშეკრულება რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში.

მეორე შენობის ფართი №1 საერთო ფართობით 599,02 კვ. მ., წარმოადგენს სკოლის საკუთრებას, ხოლო ამავე შენობის ფართი №2 საერთო ფართობით - 91,12 კვ. მ. სკოლას 5 წლის ვადით აქვს სარგებლობაში, 2011 წლის 7 ივნისს ქ. ქუთაისის თვითმმართველ ერთეულთან დადებული იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში აღნიშნული შენობა, რომლის საერთო ფართობი 690,14 კვ.მ., მიმდინარე კაპიტალური რემონტის გამო, ვერ იქნება გამოყენებული საგანმანათლებლო პროცესისთვის. დირექტორის განმარტებით, მიმდინარე წლის 20 აგვისტომდე შენობის კაპიტალური რემონტი დასრულდება.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულების მფლობელობაში არსებულ პირველ შენობაში, რომლის საერთო ფართი შეადგენს 1437,26 კვ. მ.-ს, განთავსებულია სათანადო ინვენტარით აღჭურვილი 37 საკლასო ოთახი, ხოლო მეორე შენობაში კი, რომელშიც კაპიტალური რემონტი მიმდინარეობს, არის 11 ოთახი.

1.2 სკოლის მეორე შენობის პირველ სართულზე გამოყოფილია ოთახი სპორტული დარბაზისათვის (87,36 კვ.მ), სადაც კაპიტალურად დამონტაჟებულია საყრდენი მოაჯირები ცეკვისა და სხვა სპორტული გაკვეთილების ჩატარების მიზნებისათვის. მიმდინარე რემონტის გამო, სპორტული დარბაზი არ არის აღჭურვილი შესაბამისი ინვენტარით, თუმცა, სკოლას უკვე აქვს სათანადო სპორტული ინვენტარი.

1.3 სკოლაში არის წიგნადი ფონდი, მათ შორის, პერიოდიკ ა და სხვა დამხმარე მასალა. დაწესებულებაში არ არის ცალკე გამოყოფილი ოთახი ბიბლიოთეკისათვის, რადგანაც ბიბლიოთეკის განთავსება სკოლის იმ შენობაში იგეგმება, სადაც კაპიტალური რემონტი მიმდინარეობს. წიგნადი ფონდი ინახება ოთახში, სადაც მათი დათვლა და ვიზუალური შედარება სასკოლო სასწავლო გეგმასთან შესაბამისობის კუთხით ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვერ მოხერხდა.

1.4 სკოლას არ გააჩნია სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია. თუმცა, სკოლას დადებული აქვს ხელშეკრულება შპს „ინსტა ჯორჯიასთან“, რომელიც იღებს ვალდებულებას ამა წლის 31 აგვისტომდე სკოლა უზრუნველყოს ლაბორატორიების აღჭურვილობებით.

1.5 სკოლას აქვს ორი უსაფრთხოების კამერა. ერთი მათგანი დამონტაჟებულია კომპიუტერულ კლასში, ხოლო მეორე მათგანი - ფოიეში. უსაფრთხოების კამერები სრულად არ უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს.

1.6 საევაკუაციო გეგმები არსებობს დაწესებულების მფლობელობაში არსებული შენობის პირველი და მეორე სართულებისათვის, თუმცა, საევაკუაციო გეგმები არ არის გამოკრული თვალსაჩინო ადგილას. აღნიშნული შენობის მესამე სართულისათვის და შენობისათვის, რომელშიც კაპიტალური რემონტი მიმდინარეობს, არ არის საევაკუაციო გეგმები.

1.7 დაწესებულებას ჰყავს 714 მოსწავლე და აქვს 16 ერთეული ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერი. ამდენად, დაწესებულებას არ გააჩნია ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი ერთი კომპიუტერი არა უმეტეს 20 მოსწავლეზე.

თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

1.1 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებისათვის ერთადერთი პერიოდი არის ზაფხული, როდესაც შესაძლებელია კაპიტალური რემონტის ჩატარება. შესაბამისად, 2011 წლის 20 აპრილიდან დაიწყო კაპიტალური რემონტი ერთ - ერთ შენობაში, რისთვისაც აღებულ იქნა მიზნობრივი კრედიტი. ამდენად, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის მომენტისათვის დაწესებულებაში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები.

სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო, ბიბლიოთეკის წიგნები მოთავსებული იყო ყუთებში, თუმცა, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 13 000 ერთეულს (რაც დასტურდება ექსპერტთა დასკვნითაც). აგრეთვე, 2010 წელს სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება გამომცემლობა „პოსტსკრიპტთან“, რომლის საფუძველზეც მარტო მარტის თვეში მოხდა 3000 ეგზემპლარის შეძენა სკოლის ბიბლიოთეკისათვის.

დაწესებულების დირექტორმა სხდომაზე წარმოადგინა აგრეთვე ფოტოები, საიდანაც დასტურდება, რომ სამივე სართულზე განთავსებული იყო საევაკუაციო გეგმები. საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა, დაადასტურა, რომ ნამდვილად ამ დაწესებულების შენობაში იყო ფოტოები გადაღებული.

კომპიუტერულ კლასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2011 წლის 14-15 ივლისს. კომპიუტერების რაოდენობის სავალდებულო კვოტასთან დაკავშირებით ცვლილება საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებაში შევიდა მოგვიანებით. შესაბამისად, დაწესებულებამ 2011 წლის 20 ივლისს დადო ხელშეკრულება შესაბამის იურიდიულ პირთან, რომელმაც 31 აგვისტომდე უნდა უზრუნველყოს 20 კომპიუტერის (6700 დოლარის ოდენობით) გადაცემა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნული ხელშეკრულება წარმოადგინა სხდომაზე.

უსაფრთხოების კამერების სავალდებულო მოთხოვნასთან დაკავშირებით დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ შესაბამისი ცვლილება საგანმანათლებლო დაწესებულებების

ავტორიზაციის დებულებაში შევიდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდეგ. დაწესებულების წარმომადგენელმა შეიძინა კამერები (არსებობს შეძენის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტები) და გეგმავს მათ დამონტაჟებას შიდა და გარე პერიმეტრზე.

ექსპერტთა ვიზიტის დროს საატესტატო გამოცდების გამო ერთი უსაფრთხოების კამერა დამონტაჟებული იყო კომპიუტერულ კლასში. დღევანდელი მდგომარეობით, კამერა დაბრუნდა ისევ გარე პერიმეტრზე.

ბიბლიოთეკის ფონდთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა წარმოადგინა ბოლო ერთ თვეში შეძენილი წიგნების ინვოისები.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს ჰკითხა, აღნიშნული ინვოისები წარედგინა თუ არა ექსპერტთა ჯგუფს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის სააღრიცხვო წიგნები.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ბიბლიოთეკის ფონდის დაწესებულების საკუთრებაში არსებობა დასტურდებოდა შესაბამისი დოკუმენტებით.

საბჭოს წევრის, დავით კახნიაშვილის განმარტებით, შპს - აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის საშუალო სკოლა „იმედი“ ქუთაისში ერთ-ერთი საუკეთესო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაა. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებაში ცვლილება ერთი კვირით ადრეც რომ შესულიყო, ამ დროის განმავლობაში დაწესებულება მაინც ვერ მოახერხებდა მატერიალური რესურსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას. მისი აზრით, უსაფრთხოების კამერებთან და კომპიუტერების სავალდებულო ოდენობასთან დაკავშირებული შენიშვნა არ ეწინააღმდეგება ავტორიზაციის სტანდარტს.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან შპს - აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის საშუალო სკოლა „იმედის“ შესაბამისობის საკითხზე და ხმათა უმრავლესობით მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

2. ადამიანურ რესურსთან მიმართებით

2.1 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, თუმცა, ყველა მათგანთან ხელშეკრულება გაფორმებულია ხელშეკრულების ერთი შაბლონური ფორმით და ამდენად, მათი უფლება-მოვალეობები, მათ მიერ დაკავებული სხვადასხვა თანამდებობის მიუხედავად, ერთმანეთისაგან არ განსხვავდება. შესაბამისი დოკუმენტებით ვერ დადასტურდა დაწესებულების პერსონალის სამუშაოს აღწერილობები.

2.2 სკოლას შემუშავებული არა აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები. სკოლის წესდების მე-4 მუხლის მე -4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი პედაგოგიური მუშაკის ვალდებულებად ითვალისწინებს, თავად იზრუნოს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ შეკითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხელშეკრულების გარდა სხვა რაიმე დოკუმენტი თუ არეგულირებდა დაწესებულების თანამშრომლებს შორის ფუნქციების გადანაწილებას.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სკოლას აქვს შინაგანაწესი (რომელიც განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე), სადაც გაწერილია ყველა თანამშრომლის ფუნქციები.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, როდესაც სამუშაო აღწერილობა მოცემულია სხვა დოკუმენტებში, საიდანაც შეიძლება იხელმძღვანელოს დაინტერესებულმა პირმა, ამ შემთხვევაში სტანდარტის მოთხოვნა არ არის დარღვეული.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, პედაგოგების პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, დაწესებულებას ხელშეკრულება აქვს დადებული შპს „ინსტასთან“, რომელიც

ახდენს სკოლის პედაგოგთა გადამზადებას. დაწესებულების დირექტორმა სხდომაზე წარმოადგინა მასწავლებელთა სერტიფიკატები.

საბჭომ იმსჯელა ადამიანური რესურსის სტანდარტთან შპს - აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის საშუალო სკოლა „იმედის“ შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის მიზნით, სხდომაზე მოხდა შენობის იმ ნაწილის ფოტოების დათვალიერება, სადაც მიმდინარეობს კაპიტალური რემონტი.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, რემონტი დამთავრებულია, დარჩა მხოლოდ გათბობის მონტაჟი. ნარდობის ხელშეკრულების მიხედვით, სამუშაოები უნდა დასრულდეს 2011 წლის 20 აგვისტომდე. სხდომაზე წარმოდგენილ იქნა ფიზიკურ პირებთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებები.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 9 აგვისტოს №131/ნ ბრძანებით „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებაში შეტანილი ცვლილებებით დაწესებულების მოსწავლეთა რაოდენობა უნდა განისაზღვროს ავტორიზაციის საბჭოს წინაშე საგანმანათლებლო დაწესებულების დასაბუთებული განაცხადის საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და სხვა დაინტერესებული პირების მოსაზრებების გათვალისწინებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობისა და მათი კვალიფიკაციით, ასევე მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, სკოლა უზრუნველყოფს 800 მოსწავლისათვის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების ძველი რედაქციის მიხედვით, დაწესებულების მატერიალური და ადამიანური რესურსის გათვალისწინებით სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა განისაზღვრებოდა 552-ით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დღეისათვის სკოლას ჰყავს 721 მოსწავლე, აგრეთვე სკოლა ფლობს 1400 კვ. მ. ტერიტორიას, სადაც იგეგმება სამუშაოების განხორციელება.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის საშუალო სკოლა „იმედის“ ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

მოწინააღმდეგე - 2

უარყოფითი პოზიცია დააფიქსირეს საბჭოს თავმჯდომარემ და წევრმა - ანა კლდიაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა თავისი უარყოფითი პოზიცია: მისი განცხადებით, სახეზეა მატერიალური რესურსების ნაწილში სტანდარტის შეუსრულებლობა. ამასთან, საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პრეტენზია აქვს ექსპერტების მუშაობასთან დაკავშირებით. ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენელს უნდა განუმარტონ, რომ თუ ის ვერ უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის ჩვენებას საგანმანათლებლო პროგრამასთან მისი შესაბამისობის დასადგენად, ეს უარყოფითად იმოქმედებს ექსპერტთა დასკვნაზე.

ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა ნანა ჭილაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებებს უფლება ჰქონდათ, მოეთხოვათ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის გადადება მათთვის სასურველი დროისათვის. ამგვარი განცხადება ცენტრში 30-ზე მეტია შემოსული. შესაბამისად, დაწესებულებასაც შეეძლო, ამგვარად მოქცეულიყო, რათა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის განხორციელება არ დამთხვეოდა დაწესებულებაში მიმდინარე სარემონტო სამუშაოებს.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის საშუალო სკოლა „იმედს“ მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა რაოდენობა განესაზღვროს 800-ით.

11. შპს - „ბესიკ ნიპარიშვილი - მრავალპროფილიანი სკოლა-გიმნაზიის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ შპს - „ბესიკ ნიპარიშვილი - მრავალპროფილიანი სკოლა-გიმნაზიის“ წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების დირექტორმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - „ბესიკ ნიპარიშვილი - მრავალპროფილიანი სკოლა-გიმნაზიის“ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 დაწესებულების მისია არ არის დამტკიცებული უფლებამოსილი პირის მიერ და არ არის წარმოდგენილი დოკუმენტის სახით.

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა დაწესებულებას არ გააჩნია დოკუმენტის სახით, თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სასკოლო საათობრივ ბადეში განაწილებული საათები საგნების მიხედვით პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს. სკოლა საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს 2010–2011 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო გეგმით და ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ გამოცემული ბროშურით - „ეროვნული სასწავლო გეგმა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის“, სადაც განაწილებულია სკოლის საათობრივი ბადე.

1.3 სკოლას არ აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის.

1.4 სკოლას მოსწავლეთა შეფასების სისტემა არ გააჩნია, თუმცა კათედრების სამუშაო გეგმებში ასახულია შეფასების კომპონენტები ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტების მიხედვით.

1.5 სკოლაში დოკუმენტის სახით არ არის შემუშავებული მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი. სკოლის დირექტორის განმარტებით, კლასის დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში მშობელთა კრებებზე მშობლებს აცნობენ სკოლის წესდებას, მოსწავლეთა ქცევის წესებს, შეფასების კომპონენტებს.

კონსტანტინე ჩოკორაიას განმარტებით, დაწესებულების წარმომადგენლებმა წერილით წარმოადგინეს პედაგოგის ოქმები, სადაც მითითებული იყო, რომ დირექტორი მუდმივად ავალებდა სკოლის პედაგოგებს მშობელთა ინფორმირებას მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებისა და სკოლაში მინდინარე სხვა მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ.

საბჭოს წევრის, დავით კახნიშვილის, თქმით, სკოლას აუცილებლად უნდა ჰქონდეს სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს სამინისტროს მიერ დამტკიცებულ ეროვნულ სასწავლო გეგმას. მან იკითხა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას შინაგანაწესი.

კონსტანტინე ჩოკორაიას განმარტებით, სკოლას აქვს მხოლოდ წესდება.

დავით კახნიშვილმა აღნიშნა, რომ შინაგანაწესი ყველა დაწესებულებისთვის აუცილებელი იყო.

კახი ყურაშვილის თქმით, დაწესებულება კერძო სამართლის იურიდიული პირია და თავად გადაწყვეტს, რა დოკუმენტში ასახავს საქმიანობის ძირითად მიმართულებებსა და მონაცემებს.

1.3 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების დირექტორმა განმარტა, რომ ამ შემთხვევაში ხდება ეროვნული სასწავლო გეგმით სარგებლობა.

დავით კახნიშვილის თქმით, რამდენადაც სკოლას ამჟამად არ ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, შესაბამისად, მას აქვს უფლება, ისარგებლოს ზოგადი სტანდარტით.

1.4 შენიშვნასთან დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, უნდა არსებობდეს თუ არა ცალკე დოკუმენტის სახით შეფასების სისტემა.

კონსტანტინე ჩოკორაიას განმარტებით, რადგანაც დაწესებულება სასკოლო სასწავლო გეგმად იყენებს ეროვნულ სასწავლო გეგმას, დოკუმენტურად იქ არის თავმოყრილი შეფასების სისტემა, თუმცა კათედრების გეგმებში ის დეტალურად არის გაწერილი. დაწესებულება ფაქტობრივად იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შეფასების სისტემას.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1 სველი წერტილები და სასმელი წყალი შენობაში არ არის, საპირფარეშო მდებარეობს შენობის გარეთ, ეზოში. დაწესებულების წარმომადგენელმა წარმოადგინა „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ 2011 წლის 11 აგვისტოს გაცემული ცნობა, რომლიდანაც დასტურდება, რომ ქ. კასპში, სტალინის ქ. 38-ში ხორციელდება სასმელი წყლის მიწოდება და მოწესრიგებულია აღრიცხვის კვანძი ა/წლის 12 მარტიდან.

2.2 სკოლას ბიბლიოთეკა, როგორც სტრუქტურული ერთეული, ბიბლიოთეკარის შტატით და ცალკე ოთახით, არ გააჩნია. დაწესებულების ბალანსზე აქვს აღრიცხული, ასევე ვიზუალურად და დოკუმენტურად დასტურდება წიგნების, პერიოდიკისა და სხვა დამხმარე მასალის არსებობა. წიგნები აღწერილია ფურცლებზე, დანომრილია და ბეჭედი აქვს დასმული პირველ გვერდზე.

2.3 შპს - „ბესიკ ნიპარიშვილი - მრავალპროფილიან სკოლა-გიმნაზიას“ ვებგვერდი არ გააჩნია. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ახალი სასწავლო წლისათვის სკოლას ექნება საკუთარი ვებგვერდი.

2.4 დაწესებულებას არ აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის.

2.1 შენიშვნასთან დაკავშირებით კონსტანტინე ჩოკორაიამ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა შპს - გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის კასპის რეგიონალური ცენტრის მიერ გაცემული ცნობა, საიდანაც ირკვევა, რომ დაწესებულებას ამჟამად მიეწოდება წყალი.

ლალი ღოღელიანის განმარტებით, წყალი კასპში მუდმივ პრობლემას წარმოადგენს, აქედან გამომდინარე ამ შენიშვნის გაზიარება არ იქნებოდა მართებული.

საბჭომ ეს შენიშვნა არ გაიზიარა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, არის თუ არა ადეკვატური ის ლიტერატურა, რაც დაწესებულებას აქვს.

კონსტანტინე ჩოკორაიას განმარტებით, ის ლიტერატურა, რომლითაც სკოლაში სწავლება მიმდინარეობს, დაწესებულებას აქვს.

დაწესებულების დირექტორმა წარმოადგინა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც სკოლის კონტრაქტები იღებს ვალდებულებას, სკოლის ვებგვერდი შექმნას 2011 წლის 1 ოქტომბრამდე.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნული მტკიცებულება გამოაქვეყნა.

დაწესებულების ხელმძღვანელის, ბესიკ ნიპარიშვილის განმარტებით, სკოლას პირველ სართულზე აქვს საკლასო ოთახები, სადაც შესაძლებელია თავისუფლად შესვლა. კონსტანტინე ჩოკორაიამ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია დაადასტურა და 2.4 შენიშვნა მოხსნა.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით

დაწესებულებას შემუშავებული აქვს მხოლოდ წესდება, რომელიც არ განსაზღვრავს თანამშრომელთა წახალისებისა და სანქციების მექანიზმს.

დაწესებულების დირექტორმა საბჭოს წარუდგინა ბრძანებების ასლები თანამშრომლების მატერიალური წახალისების შესახებ.

23:06 სთ-ზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

23:55 სთ-ზე სხდომა განახლდა.

კენჭისყრამდე დაწესებულების წარმომადგენელმა ითხოვა სიტყვა და აღნიშნა, რომ სკოლის კურსდამთავრებულებს საუკეთესო შედეგები ჰქონდათ ერთიან ეროვნულ გამოცდებში და ყველა მათგანი მაღალი ქულებით ჩაირიცხა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „ბესიკ ნიპარიშვილი - მრავალპროფილიანი სკოლა-გიმნაზიის“ ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

მოწინააღმდეგე - 2

საბჭოს თავმჯდომარემ და საბჭოს წევრმა დავით კახნიაშვილმა განმარტეს თავიანთი უარყოფითი გადაწყვეტილება. დავით კახნიაშვილის აზრით, სრულიად მიუღებელია სკოლის მიერ მხოლოდ ეროვნული სასწავლო გეგმით ხელმძღვანელობა, თუნდაც მცირე ცვლილებების განხორციელებით. ის, რომ სკოლის კურსდამთავრებულებს ჰქონდათ საუკეთესო შედეგი, თვითონ მოსწავლეების დამსახურებაა და არა სკოლის.

თავმჯდომარის თქმით, გასაგებია, რომ კასპში წყლის სერიოზული პრობლემაა, მაგრამ ეს დაწესებულებას არ ამართლებს სხვა ხარვეზებთან მიმართებაში, მათ შორის, მიუღებელია ის, რომ დაწესებულებას არ აქვს ვებგვერდი, ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებისათვის.

თავისი გადაწყვეტილების მიზეზები განმარტა აგრეთვე საბჭოს წევრმა ლალი ღოღელიანმაც. მისი თქმით, კასპში კერძო სკოლის მიერ დიდი რაოდენობის მოსწავლეების სწავლება, მათ მიერ მიღწეული შედეგები კარგი ინდიკატორია სკოლის ეფექტურობისა და წარმატებულობის განსაზღვრისათვის.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - „ბესიკ ნიპარიშვილი - მრავალპროფილიანი სკოლა-გიმნაზიის“ მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა რაოდენობა განესაზღვროს 150-ით.

12. შპს - სკოლა „ჩირაღდანის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ შპს - სკოლა „ჩირაღდანის“ წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - სკოლა „ჩირაღდანის“ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 შპს - სკოლა „ჩირაღდანს“ ქ. რუსთავეში მე-7 მიკრორაიონში, საკუთრებაში აქვს ოთხსართულიანი შენობის მეორე, მესამე სართულები და პირველი, მეოთხე სართულების ნაწილი, საერთო ფართობით 2171,98 კვ. მ. ვიზიტის პერიოდში შპს - სკოლა „ჩირაღდანის“ შენობაში მიმდინარეობდა რემონტი. რემონტი დამთავრებული იყო შენობის პირველ და მეორე სართულზე, სადაც განთავსებული იყო: საკლასო ოთახები; ლაბორატორია; ბიბლიოთეკა; სამასწავლებლო; რესურსოთახი და ექთნის კაბინეტი. სარემონტო სამუშაოები დასამთავრებელი იყო მეორე სართულზე სველ წერტილებში, მესამე და მეოთხე სართულებზე. დაწესებულების დირექციამ წარმოადგინა ხელშეკრულება გაფორმებული ინდემწარმე ანზორ ჯამაკაშვილთან (ს/კ 35001036594), რომლის მიხედვითაც, ეს უკანასკნელი იღებს პასუხისმგებლობას 2011 წლის 10 სექტემბრისათვის სრულად იყოს გარემონტებული მეორე სართული, მესამე სართულის ნახევარი და მოწყობილი იყოს ღია სპორტული მოედანი.

1.2 დაწესებულებას არ აქვს გარე პერიმეტრზე და შენობის შიგნით კონტროლისათვის უსაფრთხოების კამერები, თუმცა, დაწესებულების ხელმძღვანელის განცხადებით, ამ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოლაპარაკება „ჯესკო ჯგუფთან“ და რემონტის დამთავრებისთანავე იქნება დამონტაჟებული საჭირო რაოდენობის კამერები.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების დირექტორმა წარმოადგინა ჯესკო ჯგუფთან აპრილში გაფორმებული ხელშეკრულება და აქვე აღნიშნა, რომ კამერები ფიზიკურად არსებობს, უბრალოდ დასამონტაჟებელია.

თავმჯდომარემ მოსაზრების გამოთქმა სთხოვა საბჭოს წევრებს.

საბჭოს წევრმა დავით კახნიაშვილმა აღნიშნა, რომ იგი იცნობს ამ სკოლას, რომელიც აკადემიური მოსწრებითა და საერთო მონაცემებით არის ლიდერი სკოლა. სკოლა განთავსებული იყო ბაღის შენობაში, შემდეგ მოხდა საკუთარი შენობის შესყიდვა, რომლის რემონტიც ამჟამად მიმდინარეობს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სკოლა „ჩირაღდანის“ ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - სკოლა „ჩირაღდანს“ მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა რაოდენობა განესაზღვროს 563-ით.

13. შპს - საერო საშუალო სკოლა-კომპლექს „სადუნის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ შპს - საერო საშუალო სკოლა-კომპლექს „სადუნის“ წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების დირექტორმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - საერო საშუალო სკოლა-კომპლექს „სადუნის“ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

დაწესებულების ყველა სახელმძღვანელო გრიფირებულია, ინგლისური და გერმანული ენების სახელმძღვანელოების გარდა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საბჭომ კიდევ ერთხელ განმარტა, რომ საერთაშორისო სტანდარტით შექმნილი სახელმძღვანელოები გრიფმინიჭებულთან გათანაბრებულად განიხილება. შესაბამისად, საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის შენიშვნა.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

სკოლის შენობა მდებარეობს თბილისში, წერეთლის გამზ. №77-ში. უძრავი ქონების ფართია 3622 კვ. მ. აღნიშნულ ფართში სკოლის გარდა განთავსებულია საბავშვო ბაღი. საჯარო რეესტრის ამონაწერიდან დასტურდება, რომ შენობა სამსართულიანია და დაყოფილია №1, №2, №3, №4 ნაგებობებად. სკოლა №1, №2, №3 ნაგებობებში სრულად და №4 ნაგებობაში ნაწილობრივად არის განთავსებული. №4 ნაგებობის დარჩენილ ფართში განთავსებულია საბავშვო ბაღი. სკოლისა და საბავშვო ბაღის ფართები გამიჯნული არ არის.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების დირექტორმა განაცხადა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით შესაბამისი საბუთები წარდგენილ იქნა საჯარო რეესტრში. ფიზიკურად ვერ მოესწრო ახალი ამონაწერის გაკეთება, თუმცა წარმოდგენილ იქნა აზომვითი ნახაზი, რომლის მიხედვითაც, სკოლის ფართი განისაზღვრა 2650 კვ.მ.-ით.

საბჭოს წევრმა დავით კახნიაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლა აკმაყოფილებს ავტორიზაციის ყველა სტანდარტს და არის ძალიან წარმატებული სკოლა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - საერო საშუალო სკოლა-კომპლექს „სადუნს“ მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა რაოდენობა განესაზღვროს 670-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა 00:20 სთ-ზე.

კახი ყურაშვილი
თავმჯდომარე

ანა კლდიაშვილი
მდივანი